ო ქ მ ი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი 2018 წლის 16 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. იგორ გოგოლაძე
3. გოჩა ჯობავა
4. გენადი ქაძანაია
5. აკაკი ხურცილავა
6. გოჩა სიჭინავა
7. შადიმან ჭილაია
8. კონსტანტინე ნასარაია
9. კახა ლატარია
10. დავით ცინაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. პეტიციის წარმომდგენი სუბიექტის მ. ჯიქიას 2017 წლის 11 დეკემბრის N594 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ თორსის ტერიტორიაზე ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე არსებული საავტომობილო გზის მონაკვეთზე, ასევე ამავე სოფლში არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწესრიგების თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

2. პეტიციის წარმომდგენი სუბიექტის მ. ჯიქიას 2017 წლის 11 დეკემბრის N595 განცხადების განხილვა(„ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 16 იანვრის N05/177 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს:

კენჭისყრის შედეგები: სხდომას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი.

მომხრე - 10 **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. პეტიციის წარმომდგენი სუბიექტის მ. ჯიქიას 2017 წლის 11 დეკემბრის N595 განცხადების განხილვა(„ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს რეაბილიტაციის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო პეტიციაში აღნიშნული მოთხოვნები. პეტიციაში აღნიშნულია, რომ სოფელ თორსის ცენტრალური საავტომობილო გზიდან სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრამდე გზის პირას და ამავე სოფელში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხები არის მოუწესრიგებელი. მოსახლეობის თქმით წვიმის დროს იტბორება საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ეზოები, სახნავ-სათესი ფართობები და სოფლის გზები.

ასევე მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მეორე პეტიცია, სადაც აღნიშნულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქარიატაში მდინარე ხობზე გადებული ხიდის სათავეები არის დაზიანებული, ჩამოშლილია სათავე კომუნიკაციები, რაც საფრთხეს უქმნის იქ არსებულ ხიდს, მოსახლეობა ითხოვს ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას, რადგან ხიდი არ გამოვიდეს მწყობრიდან. კომისიამ იმსჯელა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე

და საჭიროს ჩათვალა, ზემოთ აღნიშნული ორივე საკითხი გადაეგზავნოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისთვის.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი

მომხრე - 10 **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: პეტიციის წესით შემოსული განცხადებები განსახილველად გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 16 იანვრის N05/177 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მერიიდან შემოსული განმარტებითი ბარათის შინაარსი, სადაც აღნიშნულია, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც მდებარეობს ქ. ხობში სტალინის ქუჩა N6-ში არის დაუტვირთავი, გამოთავისუფლებულია 100 კვ.მ. მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული ფართი განკარგვით გადაეცეს იმ იურიდიულ პირს, რომელიც უმწეო კატეგორიის ადამიანთა კვების ტენდერში იქნება გამარჯვებული. ასევე აღნიშნულია შენობის ფართის საიჯარო ქირა, რომელიც მთლიანობაში განსაზღვრულია 130 ლარით, ხოლო ინვენტარის ქირა 70 ლარით, სულ საიჯარო ქირა განსაზღვრულია თვეში 200 ლარით. განმარტებით ბარათს თან ახლავს დანართი, სადაც აღნიშნულია იჯარით გასაცემი ქონების საბალანსო ღირებულება.

კომისიამ იმსჯელა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე და აღმოჩნდა, რომ შენობას 2016 – 17 წლებში ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები რაც არ არის ასახული მის საბოლოო საბალანსო ღირებულებაზე.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შემოსული პროექტის მერიისთვის უკან დაბრუნება, აღნიშნული შენიშვნის დაზუსტების მიზნით

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი

მომხრე - 10 **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი წინადადება წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა.

კომისიის წევრების მიერ გაანალიზებული იქნა ზემოთ აღნიშნული კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა, განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი

მომხრე - 10 **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი წინადადება წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია